პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქ. სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო.

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

შაბათი, 3 ოქტომბერი, 1942 წ. № 235 (6551). ფასი 15 კაპ.

ფრონტელთა შვილებს— ჩვენი მზრუნველობა და სიყვარული!

წითელი არმიის მებრძოლთა წერილებში ხშირად გვხვდება ასეთი სტრიქონები: „მე ბევრს ვფიქრობ ჩემს ბავშვებზე. როგორ ცხოვრობენ ისინი მანდ? ჯანმრთელად არიან თუ არა? სწავლობენ თუ არა? აქვთ თუ არა მეთვალყურეობა? ჩქარა მომწერეთ..."

საბჭოთა მეომრებს შეუძლიათ დამშვიდებული იყვნენ თავიანთი ბავშვებისათვის: ისინი გარემოსილი არიან მთელი ჩვენი ქვეყნის გულითადი მამობრივი ყურადღებით. საბჭოთა მთავრობა, კომუნისტური პარტია, კომკავშირი ფრონტელთა ოჯახებისათვის, მათი შვილებისათვის მზრუნველობას უმნიშვნელოვანეს სახელმწიფოებრივ ამოცანად სთვლიან.

მკაცრ დროებას განიცდის ჩვენი სამშობლო. პირსისხლიან გერმანელ ფაშისტ დამპყრობლებთან ომმა ბევრი გაჭირვება მოგვიტანა, მაგრამ ამ მძიმე დროსაც სამშობლო არ ივიწყებს ბავშვებს და პირველ რიგში ბავშვებს წითელი არმიის მეომრებისას, რომლებიც თავისი მკერდით იცავენ საბჭოთა ქვეყნის სიცოცხლეს, ღირსებასა და თავისუფლებას.

მთელი საბჭოთა ხალხი, ზურგის ყველა ადამიანი ცდილობს სიყვარულითა და მზრუნველობით მოიცვას ფრონტელთა ბავშვები, სთვლის რა ამას არა მარტო კეთილშობილურ საქმედ, არამედ წმიდა მოვალეობადაც.

შესანიშნავი თაოსნობა გამოიჩინეს რიაზანის ოლქის ფედიაკინის არასრული საშუალო სკოლის მასწავლებლებმა და კიროვის სახელობის ფედიაკინის კოლმეურნეობის საზოგადოებრიობამ. მათ თავიანთ მეთვალყურეობის ქვეშ დააყენეს ფრონტელთა ყველა ბავშვი და ეცადნენ შეექმნათ რაც შეიძლება უკეთესი პირობები მათი ცხოვრებისა, სწავლისა, დასვენებისა და ზრდისათვის. სკოლა, კოლმეურნეობა და სოფლსაბჭო გაერთიანდნენ და განაცხადეს: ჩვენი პირველი მზრუნველობა ფრონტელთა შვილებს ეკუთვნისო. მათ მიიღეს ზომები, რომ საბჭოთა მეომრის არც ერთი შვილი სკოლის გარეთ არ დარჩეს, უზრუნველჰყვეს ბავშვები ცხელი საუზმით, სახელმძღვანელოებით. მასწავლებლები გაეცნენ თავისი მოწაფეების—მებრძოლთა შვილების საყოფაცხოვრებო პირობებს, გამოარკვიეს მათი საჭიროებანი, ხოლო კოლმეურნეობა მათ პურითა და ბოსტნეულით დაეხმარა.

ფედიაკინელებმა გადასწყვიტეს: ფრონტელთა ბავშვები, რომელთაც შინ არავინ ჰყავთ, რომ სწავლაში დაეხმარონ, გაკვეთილებს მათი პირადი მეთვალყურეობით მოამზადებენ. მათ დაიკისრეს აგრეთვე ამ ბავშვების დასვენებისათვის ზრუნვა. ფედიაკინელებმა თავის თანასოფლელებს ფრონტზე წერილი გაუგზავნეს, რომელშიც თითოეულ ფრონტელს უამბეს თუ როგორ ცხოვრობენ მათი ბავშვები.

„...თედორე მიხეილის-ძე ფომინ! 1 სექტემბრიდან შენი სამივე ბავშვი სწავლას დაიწყებს, ბორისი და ანია მესამე კლასში არიან, უმცროსს პირველ კლასში ვიღებთ. ბავშვები ჯანმრთელად არიან. კოლმეურნეობა ეხმარება შენს ცოლს, ურთიერთდამხმარე სალაროდან სახსრებს აძლევს ბავშვებისათვის ფეხსაცმლისა და ტანსაცმლის საყიდლად.

დამშვიდებული იყავ შენი ვაჟისათვის, სტეფანე მიხეილის-ძეო ლოპუხოვ! სკოლამ იცის, რომ ბავშვს სუსტი თვალები აქვს, და ყურადღებით ადევნებს თვალს მას. ისევე როგორც შარშან, წელსაც პირველ მერხზე დავსვამთ მას და თავის დროზე დავეხმარებით, თუ რამეს ვერ გაიგებს..."

„უჩიტელსკაია გაზეტაში" დაბეჭდილმა ფედიაკინელების წერილმა ერთსულოვანი გამოხმაურება ჰპოვა საბჭოთა მასწავლებლობის დიდ ოჯახში. ამჟამად სოფლებშიც და ქალაქებშიც სკოლებს აღრიცხვაზე აჰყავთ ფრონტელთა ყველა ბავშვი, მასწავლებლები დაიარებიან მათს ოჯახებში, თვალყურს ადევნებენ, რათა ბავშვები უმეთვალყურეოდ არ დარჩნენ, იყვნენ ჩაცმულ-დახურულნი, მაძღარნი და ჯანმრთელნი, რათა წესიერად ესწრებოდნენ სასკოლო მეცადინეობას და გულმოდგინედ სწავლობდნენ.

ეს ნამდვილი პატრიოტული საქმეა! რაც უფრო დამშვიდებულია მებრძოლი თავისი შვილებისათვის, — ხოლო შვილები ყველაზე ძვირფასი, ყველაზე მშობლიურია მისთვის, — მით უფრო წარმატებით იბრძოლებს იგი გერმანელ ფაშისტ არამზადათა წინააღმდეგ. თუ ყველა ბავშვი მეთვალყურეობის ქვეშ იქნება, მათს დედებს შეეძლებათ სავსებით მოახმარონ თავისი ძალები წარმოებაში, ყანებში მუშაობას.

პატივი და დიდება თქვენ, ფედიაკინელო სოფლის მასწავლებლებო! მადლობას გეტყვიან თქვენ არა მარტო თქვენი თანამემამულე მეომრები, არამედ მთელი წითელი არმია და მთელი საბჭოთა ხალხი.

ძალიან კარგია, რომ ფედიაკინელმა პედაგოგებმა ბავშვებისათვის მუდმივ მზრუნველობაში ჩააბეს კოლმეურნეობის, სოფლის მთელი საზოგადოებრიობა. კოლმეურნეობის გამგეობა, ადგილობრივი პარტიული ორგანიზაცია, სოფლის საბჭო, საკოლმეურნეო ურთიერთდამხმარე სალარო მასწავლებლებთან ხელიხელჩაკიდებულნი ზრუნავენ სამშობლოს დამცველთა ოჯახებისათვის.

ფედიაკინელთა თაოსნობამ წარმოშვა ფრონტელთა შვილებისადმი დამხმარე კომიტეტები. ენერგიულად დაიწყო მუშაობა ასეთმა კომიტეტმა ქალაქ ნოვოსიბირსკის 22-ე სკოლასთან. ამ სკოლის მასწავლებლებმა შესძლეს ამ საქმეში ჩაებათ მშობლები, თავისი რაიონის საწარმოების, საბჭოთა და სამეურნეო ორგანიზაციების საზოგადოებრიობა. სკოლამ ფრონტელთა ბავშვები მთელი წლით უზრუნველჰყო სახელმძღვანელოებითა და რვეულებით, იზრუნა იმისათვის, რომ ბავშვები სადილს სპეციალურ სასადილოში იღებდნენ. იმ მოსწავლეთა ოჯახებს, რომელთა მამებიც ფრონტზე არიან, სკოლა დახმარებას უწევს ბოსტნების მოსავლის აღებაში, შეშის დამზადებაში. ამ მიზნით, პედაგოგებმა მოიზიდეს პიონერები და კომკავშირელები.

გუშინ ეს იყო 22-ე სკოლაში, დღეს კი ეს უკვე ნოვოსიბირსკის მრავალ სკოლაშია. მათ ფრონტელთა შვილებისათვის მოაწყეს ცხელი საუზმეები, სადილები, ბევრს მისცეს ფეხსაცმელი და ტანსაცმელი. რამდენიმე სკოლაში გახსნილია სახელოსნოები ბავშვის ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის შესაკეთებლად—ეს პატარა, მაგრამ უაღრესად ძვირფასი საქმეა!

ამჟამად ასეთივე სასიხარულო ამბები მოვიდა სხვა ქალაქებიდან და სოფლებიდანაც: ალმა-ატიდან, სვერდლოვსკიდან, პავლოვ პოსადიდან, მოლოტოვის ოლქიდან ბერეზნიკიდან, ბაშკირეთის ბალტაჩევის რაიონიდან... აქ სკოლის კოლექტივებმა გადაიღეს თავიანთი ფედიაკინელი კოლეგების თაოსნობა. მოსწავლეთა მამებს ფრონტზე გაეგზავნათ მასწავლებელთა გულთბილი წერილები მათი ქალიშვილებისა და ვაჟიშვილების ცხოვრების, ჯანმრთელობისა და წარმატების შესახებ. რა სიხარულითა და მადლობით წაიკითხავენ ამ წერილებს ჩვენი მებრძოლები, როგორი აღაფრთოვანებს მათ ეს წერილები კიდევ უფრო მამაცური, გადამწყვეტი ბრძოლისათვის ფაშისტი ავაზაკების წინააღმდეგ!

სახალხო განათლების მუშაკთა ღირსების საქმეა სათავეში ჩაუდგნენ საბჭოთა მასწავლებლების პატრიოტულ მოძრაობას. ცენტრის დაწყებითი და საშუალო სკოლის მუშაკთა კავშირის ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება — ყველა სასკოლო კოლექტივში განიხილონ ფედიაკინელთა წერილი. სწორად მოიქცა ყაზახეთის განათლების სახალხო კომისარიატი, რომელმაც წინადადება მისცა სკოლების ყველა ხელმძღვანელს დაუყოვნებლივ გადაიღონ ფედიაკინელ პედაგოგთა თაოსნობა და შექმნან პირობები ფრონტელთა შვილების ნორმალური სწავლისა, აღზრდისა და განვითარებისათვის.

კარგი იქნებოდა, რომ ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციები ამოწმებდნენ, იცოდნენ, თუ როგორ ზრუნავენ სკოლები სამშობლოს დამცველთა შვილებისათვის. ამ უმნიშვნელოვანეს საქმეში უდიდეს როლს შეასრულებს ჩვენი კომკავშირი.

სოფლისა და ქალაქის მასწავლებელნო! გადაიღეთ ფედიაკინელთა ძვირფასი თაოსნობა! ფრონტელთა შვილებს—სიყვარული, ალერსი, მზრუნველობა, დახმარება! არც ერთი ბავშვი უმეთვალყურეოდ! ვინ დახეტიალებს იქ ქუჩაში და არ იცის, როგორ გაატაროს თავისუფალი დრო და რაში გამოიყენოს თავისი ენერგია? ფრონტელის ვაჟი ხომ არ არის? შენს მზრუნველობის ქვეშ დააყენე იგი, მასწავლებელო. ეს ვინ დანაღვლიანებულა იქ, მარტო რომ ამოჰყავს ძნელი ამოცანა, მაგრამ ვერა და ვერ გამოუდის? ფრონტელის გოგონა ხომ არ არის, რომელსაც მამა შინ ყოფნისას სწავლაში ეხმარებოდა ხოლმე? მამის მაგიერობა გაუწიე მას, მასწავლებელო. სამშობლოს დამცველთა ყველა შვილია თუ არა ჩაბმული სკოლაში? შეამოწმე, მასწავლებელო. ყველა უზრუნველყოფილია ფეხსაცმლით, ტანსაცმლით, ცხელი საუზმით, სასწავლო სახელმძღვანელოებით? მოაწყე მათთვის დახმარება, მასწავლებელო.

დაე ყოველმა სკოლამ მისწეროს ფრონტზე იმისავე შესახებ, რაზედაც თავიანთი მოწაფეების მამებს მისწერეს ფედიაკინელმა სოფლის მასწავლებლებმა. მათ კი მისწერეს: „გვჯერა თქვენი ძვირფასო ამხანაგებო, თქვენგან მოველით საბრძოლო მამაცობასა და გმირობას. შეაჩერეთ მტერი! გასწმინდეთ მისგან ჩვენი მიწა-წყალი. თქვენი ოჯახების შესახებ კი იცოდეთ: ყველაფრით დავეხმარებით, რითაც კი საჭიროა, თქვენს დედებს, ცოლებსა და დებს, აღვზრდით თქვენს შვილებს, როგორც ამას სამშობლო მოითხოვს..."

წითელი არმიის ჩვენი სახელოვანი მეომრები საბჭოთა მასწავლებლობისა და მთელი საბჭოთა საზოგადოებრიობის ამ მამობრივ მზრუნველობას უპასუხებენ ახალი საგმირო საქმეებით სამშობლოსათვის, გამარჯვებისათვის.

„პრავდის" მოწინავე, 29/IX.

ნოვოროსიისკის სამხრეთ-აღმოსავლეთით

მოქმედი არმია, 2 ოქტომბერი (საკდესის სპეც. კორესპონდენტისაგან). ნოვოროსიისკის სამხრეთ-აღმოსავლეთით შეუპოვარი ბრძოლები გრძელდება. ჩვენი ჯარები იგერიებენ მოწინააღმდეგის მრავალ იერიშს, რომელიც ცდილობს სოლივით შემოიჭრას ჩვენი თავდაცვის ხაზში. ამასთან დიდ ზარალს აყენებენ მტერს. ფრონტის ცალკეულ უბნებზე საბჭოთა ჯარებს წარმატებით მიაქვთ კონტრიერიშები ფაშისტებზე და წინათ დაკავებული პოზიციებიდან ერეკებიან მათ.

6 ნაწილმა დღის განმავლობაში მტრის ორ ასეულზე მეტი ქვეითი ჯარი გაჟლიტა. სხვა ნაწილმა 520 ჯარისკაცი და ოფიცერი დახოცა. ჩვენმა ქვეგანაყოფებმა მტრის ორი ხელის ტყვიამფრქვევი ჩააჩუმეს და 4 ტანკი დააზიანეს. ქვეგანაყოფმა, რომელსაც ლეიტენანტი ზაიცევი მეთაურობს, 4 დღე-ღამის განმავლობაში მტრის 14 იერიში მოიგერია და 300-ზე მეტი ფაშისტი გაჟლიტა.

კ. აუხოვი

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

2 ოქტომბრის დილის ცნობა

1 ოქტომბრის ღამის განმავლობაში ჩვენი ჯარები ეწეოდნენ ბრძოლებს მტერთან სტალინგრადის რაიონში და მოზდოკის რაიონში. სხვა ფრონტებზე არავითარი ცვლილება არ მომხდარა.

* * *

სტალინგრადის რაიონში ერთ უბანზე გერმანელებმა სცადეს გაერღვიათ საბჭოთა ჯარების თავდაცვა და მნიშვნელოვანი რაოდენობის ტანკები გამოიყვანეს იერიშზე. ჩვენი ქვემეხების და ტანკსაწინააღმდეგო თოფების ცეცხლით მოსპობილ იქნა გერმანელთა 8 ტანკი. ჩვენი ნაწილების განლაგებაში შემოჭრილი მტრის 2 ტანკი დამწვარია ცეცხლწამკიდნარევიანი ბოთლებით. ჰიტლერელებმა ამ ბრძოლაში 200-მდე კაცი დაჰკარგეს მოკლულთა სახით და თავდაპირველ პოზიციებზე დაიხიეს.

6 შენაერთის მფრინავებმა საჰაერო ბრძოლებში ჩამოაგდეს გერმანელთა 9 თვითმფრინავი.

* * *

სტალინგრადის ჩრდილო-დასავლეთით გვარდიის ნაწილის ქვეგანაყოფებმა იერიში მიიტანეს ერთ მაღლობზე და გასწმინდეს იგი გერმანელებისაგან. ამ ბრძოლაში მოსპობილია მტრის 300-მდე ჯარისკაცი და ოფიცერი, 11 ტყვიამფრქვევი, 18 ძელმიწური საცეცხლე წერტი და ბლინდაჟი. არტილერიის ბატარეამ, რომლის მეთაურიც არის ამხ. ბუიანოვი და რომელიც დახმარებას უწევდა ჩვენს ქვეგანაყოფთა მოქმედებას, დააზიანა გერმანელთა 2 ტანკი და ჩაახშო ექვსლულიან ნაღმსატყორცნთა ბატარეის ცეცხლი.

* * *

მოზდოკის რაიონში 6 ნაწილის არტილერისტებმა დააზიანეს გერმანელთა 4 ტანკი, მოსპეს 8 ავტომანქანა, გაჰფანტეს და ნაწილობრივ გაჟლიტეს გერმანელთა 2 ასეულამდე ქვეითი ჯარი. ჩვენი კავალერიის ქვეგანაყოფი ღამით თავს დაესხა ჰიტლერელთა მიერ დაკავებულ დასახლებულ პუნქტს. საბჭოთა ცხენოსნებმა აჰკუწეს 100-მდე გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი, აიღეთქეს 2 ჯავშნიანი მანქანა და დასწვეს საწვავის საწყობი.

* * *

ნოვოროსიისკის სამხრეთ - აღმოსავლეთით 6 ნაწილმა 3 დღის ბრძოლების განმავლობაში მოსპო 1.500-მდე გერმანელი და რუმინელი ჯარისკაცი და ოფიცერი. 8 ნაღმსატყორცნი, 25 ტყვიამფრქვევი, 4 ქვემეხი, 1 ნაღმსატყორცნი ბატარეა და საწყობი მტრის საომარ მასალიანად.

* * *

ლენინგრადის ფრონტზე ჩვენი მზვერავებისა და სნაიპერების აქტიური მოქმედებით 2 დღის განმავლობაში გაჟლეტილია მტრის 200-ზე მეტი ჯარისკაცი და ოფიცერი. ჩვენმა მებრძოლებმა გერმანელებს წაართვეს 10 ხასიათს ნაღმსატყორცნი და 50-ზე მეტი ავტომატი.

დიდი ზარალი მოსდის გერმანელთა ავიაციას. ლენინგრადის ფრონტის და წითელდროშოვანი ბალტიის ფლოტის მფრინავებმა საჰაერო ბრძოლებში ორი დღის განმავლობაში გერმანელთა 24 თვითმფრინავი ჩამოაგდეს. ამავე ხნის განმავლობაში ჩვენი საზენიტო არტილერიის ცეცხლით მოსპობილია 27 თვითმფრინავი. სულ ორი დღის განმავლობაში ლენინგრადთან მოსპობილია მტრის 51 თვითმფრინავი.

* * *

ორიოლელ პარტიზანთა რაზმმა 2 კვირის განმავლობაში გაჟლიტა 280 უნგრელი ჯარისკაცი და ოფიცერი. ამავე ხნის განმავლობაში პარტიზანებმა დასწვეს სპირტის ქარხანა, ნავთის ბაზა, 3.000 ტონა თივა, მოსპეს 12 ტრაქტორი და დაანგრიეს ორი ხის ხიდი. სექტემბრის დამლევს პარტიზანებმა ლიანდაგიდან გადაგდეს გერმანელ ფაშისტ ოკუპანტთა რკინიგზის ეშელონი. დამტვრეულია 33 ვაგონი მტრის ცოცხალ ძალიანად და სხვადასხვა სამხედრო ტექნიკიანად.

* * *

მე-8 საკავალერიო პოლკის 1-ლი ესკადრონის ტყვე ჯარისკაცმა კონსტანტინე ბულგარიუმ განაცხადა: „ორი დასახლებული პუნქტისათვის გაჩაღებულ სასტიკ ბრძოლებში პირველმა ესკადრონმა 152 კაცი დაჰკარგა მოკლულთა და დაჭრილთა სახით. სხვა ესკადრონებსაც მძიმე ზარალი მოუვიდათ. ამ უკანასკნელ ხანს ბევრ რუმინელ ჯარისკაცს სახლიდან ნაღვლიანი და სასოწარკვეთილებით აღსავსე წერილი მოსდის. მათ სწერენ, თქვენი ოჯახები შიმშილით იხოცებიანო. ანტონესკუ ოქროს ზოდებს გვპირდებოდა, ახლა კი გერმანელებს უკანასკნელი სურსათი მიაქვთ".

* * *

გერმანელ ჯარისკაც რუდოლფ ეზერლეს უპოვნეს შტუტგარტიდან დედისაგან გამოგზავნილი წერილი. იგი სწერს: „ჩალაქებში ამჟამად ძალიან ცუდი მდგომარეობაა, მაგრამ არც სოფლად არის უკეთესი მდგომარეობა. ჩვენ მხოლოდ უნდა ვიმუშაოთ და ყველაფერი გავცეთ. ბევრი გლეხი საბოლოოდ გაანადგურეს. ჩუმჩუმად ყველა ბუზღუნებს, მაგრამ ხმამაღლა თქმისა ეშინიათ. ჩვენში კრიტიკა არ შეიძლება. ამისათვის მეტად მკაცრი სასჯელია გათვალისწინებული, თვით სიკვდილით დასჯაც კი".

* * *

ელზას-ლოტრინგენის მოსახლეობა შეუპოვარ წინააღმდეგობას უწევს გერმანელ დამპყრობთ. ახალგაზრდობა ემალება გერმანელთა სამხედრო ხელისუფლებას და არ ცხადდება გასაწვევ უბნებში. ფერეტის მახლობლად რამდენიმე ახალწვეული თავს დაესხა გერმანელთა პატრულს და სამი ჰიტლერელი მოჰკლა. სტრასბურგში ამ უკანასკნელ დღეებში დილდილობით ტროტუარებსა და კედლებზე ხშირად ჩნდება ლოზუნგები: „ძირს სისხლისმსმელი ჰიტლერი!", „ელზასი თავისუფალი იყო და თავისუფალი იქნება!", „სიკვდილი ფაშისტებს!".

2 ოქტომბრის საღამოს ცნობა

2 ოქტომბრის განმავლობაში ჩვენი ჯარები ეწეოდნენ ბრძოლებს მოწინააღმდეგესთან სტალინგრადის რაიონში და მოზდოკის რაიონში. სხვა ფრონტებზე არსებითი ცვლილება არ მომხდარა.

* * *

1 ოქტომბრის განმავლობაში ჩვენი ავიაციის ნაწილებმა ფრონტის სხვადასხვა უბანზე მოსპეს ან დააზიანეს გერმანელთა 10-მდე ტანკი, 40-ზე მეტი ავტომანქანა ჯარებიანად და ტვირთიანად, აიფეთქეს 2 საწყობი საომარი მასალა, ჩააჩუმეს 11 საარტილერიო ბატარეა. გაჰფანტეს და ნაწილობრივ გაჟლიტეს მოწინააღმდეგის ერთ ბატალიონამდე ქვეითი ჯარი.

* * *

სტალინგრადის რაიონში გრძელდებოდა გააფთრებული ბრძოლები. ერთ-ერთ უბანზე მოწინააღმდეგემ სცადა გაეტეხა ჩვენი ჯარების წინააღმდეგობა და იერიშზე წამოიყვანა ქვეითი ჯარისა და ტანკების დიდი ძალები. ჩვენმა მებრძოლებმა მტრის მოძალებას გაუძლეს და მოიგერიეს ჰიტლერელთა იერიშები. ბრძოლის შედეგად გაჟლეტილია მოწინააღმდეგის 700 ჯარისკაცი და ოფიცერი და დაზიანებულია გერმანელთა რამდენიმე ტანკი. სხვა უბანზე ჩვენი ნაწილები ნელა მიიწევდნენ წინ და მტრისაგან სწმენდნენ ცალკეულ შენობებს. ქუჩებში გამართულ ბრძოლაში გაჟლეტილია გერმანელთა ერთ ბატალიონამდე ქვეითი ჯარი.

სტალინგრადის სამხრეთით გერმანიის ქვეითი ჯარის ბატალიონმა 50 ტანკის დახმარებით იერიში მიიტანა ჩვენს რაზმზე, რომელიც სოლივით შეიჭრა მოწინააღმდეგის თავდაცვაში. სასტიკი ბრძოლის შემდეგ, რომლის დროსაც დაზიანებული იქნა გერმანელთა 16 ტანკი, ჩვენმა რაზმმა თავდაპირველ პოზიციებზე გადმოინაცვლა.

* * *

სტალინგრადის ჩრდილოეთ-დასავლეთით ჩვენი ჯარები აქტიურ საბრძოლო მოქმედებას ეწეოდნენ და მთელ რიგ პუნქტებში წინ წაიწიეს. 6 შენაერთის ნაწილებმა გამაგრებული პოზიციებიდან განდევნეს გერმანელები, ამასთან მოწინააღმდეგის 7 ტანკი, 5 ქვემეხი, 13 ტყვიამფრქვევი მოსპეს და ორ ასეულამდე ქვეითი ჯარი გაჟლიტეს. სხვა უბანზე ჩვენმა ნაწილებმა შეუპოვარი ბრძოლების შემდეგ ერთი მაღლობის რაიონი დაიკავეს. ამ მაღლობისათვის ბრძოლებში ხელთ ვიგდეთ გერმანელთა 130 დაზიანებული ტანკი, რომლებიც მიწაში იყო ჩაფლული და ჰიტლერელები საცეცხლე წერტებად იყენებდნენ.

* * *

მოზდოკის რაიონში იმ ნაწილის მებრძოლებმა, რომლის მეთაურიც არის ამხ. დანილიანი, დღის განმავლობაში მოწინააღმდეგის რამდენიმე იერიში მოიგერიეს, გერმანელთა 7 ტანკი მოსპეს და 200-მდე ჰიტლერელი გაჟლიტეს. მოზდოკის აღმოსავლეთით გერმანელებმა ქვეითი ჯარის, მოტოციკლისტებისა და 40 ტანკის ძალებით იერიში მიიტანეს ერთ მაღლობზე. ჩვენმა მებრძოლებმა მოწინააღმდეგის ორი იერიში მოიგერიეს და დიდი ზარალი მიაყენეს მტერს. ჩვენმა ნაწილმა მხოლოდ მაშინ გადმოინაცვლა ახალ პოზიციებზე, როცა ჰიტლერელებმა ახალი ძალები მოიშველიეს. ბრძოლის შედეგად დაზიანდა და დაიწვა გერმანელთა 19 ტანკი, გაჟლეტილია მოწინააღმდეგის ორ ასეულზე მეტი ქვეითი ჯარი.

* * *

ნოვოროსიისკის სამხრეთ-აღმოსავლეთით ჩვენი ჯარები შეუპოვარ ბრძოლებს ეწეოდნენ მოწინააღმდეგესთან. ერთ-ერთ უბანზე მოწინააღმდეგემ შესძლო სოლივით შემოჭრილიყო ჩვენს თავდაცვაში. საბჭოთა ნაწილებმა კონტრიერიში მიიტანეს და გაჟლიტეს წინ გამოჭრილი ჰიტლერელები. მოკლულია 300-მდე გერმანელი და რუმინელი ჯარისკაცი და ოფიცერი. ფრონტის სხვა უბანზე ამხ. გონიაევის ქვეგანაყოფის მებრძოლებმა ჰიტლერელთა ერთ ასეულამდე ჯარი გაჟლიტეს და გერმანელთა 2 ტანკი დააზიანეს.

* * *

ვორონეჟის რაიონში ჩვენი მეავტომატეები მოწინააღმდეგის მავთულხლართში გაიჭრნენ და ბრძოლას ეწევიან გერმანელთა თავდაცვითს რაიონში. დღის განმავლობაში მათ ჰიტლერელთა ერთ ასეულამდე ჯარი გაჟლიტეს. 6 ნაწილის მებრძოლებმა გაანადგურეს მოწინააღმდეგის ერთ ბატალიონამდე ქვეითი ჯარი, რომელმაც წყლის ზღუდე გადმოლახა. გერმანელებმა უკან დაიხიეს; მდინარის აღმოსავლეთ ნაპირზე მათ 400-მდე მოკლული ჯარისკაცი და ოფიცერი დასტოვეს.

* * *

სტალინგრადის ჩრდილოეთ - დასავლეთით ტყვედ წამოყვანილია გერმანიის 76-ე დივიზიის 203-ე პოლკის ჯარისკაცთა ჯგუფი. ტყვე უნტერ-ოფიცერმა ჰაინრიხ ალეერსმა განაცხადა: „ზარმანდელმა შემოდგომა-ზამთრის ბრძოლებმა ჩვენი დივიზია გაანადგურა. ქვეითი ჯარის პოლკების ასეულებში 10-20 კაცი-ღა დარჩა თითოში. ამის შემდეგ დივიზია თითქმის ხელახლად იქნა დაკომპლექტებული. შემდგომ ბრძოლებში დივიზია კვლავ დიდად დაზარალდა. 20 აპრილიდან 3 სექტემბრამდე დივიზია 12 სამარშო ბატალიონით იქნა შევსებული. თითოეულ ბატალიონში 900-1.000 კაცი იყო. დონზე წარმოებულ ბრძოლებში ჩვენმა პოლკმა დიდი ზარალი ნახა ადამიანთა და მატერიალური ნაწილის მხრივ. ამ ბრძოლებში მოკლულ იქნა 203-ე პოლკის მეთაური პოდპოლკოვნიკი ეიხმანი, პირველი ბატალიონის მეთაური მაიორი იორდანი, მეორე ბატალიონის მეთაური მაიორი ფიტინგერი და სხვანი. ასეული, რომელშიც 30 კაცი დარჩა, ყველაზე მრავალრიცხოვნად ითვლებოდა პოლკში. 19 სექტემბერს ბრძანება გამოგვიცხადეს—გვებრძოლა მანამდე, სანამ თუნდაც ერთი ჯარისკაცი დარჩებოდა. მაგრამ რუსების ტანკები და ქვეითი ჯარი ჩვენს განლაგებაში შემოიჭრნენ და ჩვენ უწესრიგოდ დავიხიეთ. მეორე დღეს, გათენებისას, რუსები გარს შემოგვერტყნენ და ტყვედ წამოგვიყვანეს".

* * *

ჰიტლერელმა არამზადებმა სისხლიანი ბოროტმოქმედება ჩაიდინეს კურსკის ოლქის სოფელ ბერიოზოვკაში. იაოადის მუქარით მათ 150 კაცი, ქალი და მოზარდი გარეკეს სიმაგრეების ასაგებად ფრონტისპირა ზოლში. მუშაობის შემდეგ ფაშისტმა ჯალათებმა მშენებლობაზე მომუშავე ყველა გლეხი დახვრიტეს.

* * *

სედლეცის რაიონში (პოლონეთი) იფეთქა გაფიცვამ იტალიელ რკინიგზელ მუშებს შორის, რომლებიც გერმანელებმა იტალიიდან მორეკეს პოლონეთის რკინიგზებზე სამუშაოდ. 500-მდე იტალიელმა მოითხოვა დაუყოვნებლივ გაეგზავნათ ისინი სამშობლოში. ჰიტლერელები იტალიელ მუშებს დღეში 14 საათს ამუშავებენ, რის საფასურადაც ულუფად აძლევენ 200 გრამ პურს და დამპალი მიწაბხალისაგან გაკეთებულ წვენს. გესტაპო მასობრივად აპატიმრებს მუშებს.

ბებეჭ ძარაზოვი და მისი მეგობრები

მოქმედი არმია, 30 ოქტომბერი. უმცროს სერჟანტ ბებეჭ ძარაზოვს მკერდს უმშვენებს წითელი დროშის ორდენი და მედალი „მამაცობისათვის". მთავრობამ ორჯერ დააჯილდოვა ახალგაზრდა ოსი ბრძოლებში უშიშარობისა და მამაცობისათვის, დაზვერვისას მარჯვე და თავდადებული მოქმედებისათვის. ძარაზოვი ოთხჯერ იყო დაჭრილი. ახლა იგი თავის მშობლიურ ადგილებს იცავს უცხოელ დამპყრობთაგან.

უკვე რამდენიმე დღეა ის პოლკი, რომელშიც ძარაზოვი მსახურობს, გააფთრებულ ბრძოლებს ეწევა მოზდოკის რაიონში. აქ მხარდამხარ იბრძვიან რუსები, უკრაინელები, ქართველები, სომხები, უზბეკები. მათთან ერთად იბრძვის ოსი ძარაზოვი და მისი ათეულის ოთხი ამხანაგი. მებრძოლი მეგობრები—სოლოვიოვი, ბიკოვი, კოლთუშკინი, ალდანოვი—ერთად დადიან საზვერავად, ერთად უმასპინძლდებიან გერმანელებს ავტომატების ტყვიის ნიაღვრით. ამ დღეებში ამ სახელოვანმა ხუთეულმა გერმანელთა ხუთი ტანკი მოსპო. აი როგორ მოხდა ეს.

ასეულის მეთაურმა ლეიტენანტმა მილანმა თავი მოუყარა თავის მებრძოლებს და უთხრა:

— ჩვენზე გერმანელთა ტანკები მოდიან. ვის უნდა დახვდეს მათ და ბოთლებით დასწვას?

მსურველი ბევრი აღმოჩნდა. ლეიტენანტმა 20 ყველაზე საიმედო კაცი ამოარჩია და ოთხ ჯგუფად დაანაწილა, რადგან ტანკები ოთხი სხვადასხვა მიმართულებით მიდიოდნენ. უშიშარი მებრძოლნი წინ გაემართნენ. რასაკვირველია, ძარაზოვის ხუთეული მოხალისეთა შორის იყო. ძარაზოვმა თავისი ჯგუფი მზესუმზირის მაღალი ნათესით გაატარა და დააყენა ზედ გზასთან, რომლითაც გერმანელთა ხუთი ტანკი მოდიოდა.

— თითო კაცზე თითო მოდის,—სთქვა სოლოვიოვმა,—ნაწყენი არავინ დავრჩებით.

— სწორეა,—უპასუხა ძარაზოვმა.—ხუთივე უნდა მოვსპოთ. პირველი გამოვუშვათ, რომ დანარჩენებმა არ შეგვამჩნიოთ. ჯერ მეორეს, მესამესა და მეხუთეს დავარტყათ, ხოლო შემდეგ პირველი და მეოთხე გავაჩეროთ.

როცა ტანკები ჩასაფრებულთა დაუახლოვდნენ, მათ ერთბაშად დაუყარეს საწვავსითხიანი ხუთი ბოთლი. ალი მანქანების ფოლადის გვერდებზე გასრიალდა და მაღლა ავარდა. ჯერ სამ ტანკს მოეკიდა ცეცხლი, შემდეგ მამაცები წინა ტანკს დაეწივნენ და ცეცხლი წაუკიდეს მას. ამავე დროს ალდანოვის ნატყორცნი ბოთლით ცეცხლი მოეკიდა მეოთხე ტანკსაც.

თერგის ველზე, სოფლის გზაზე, კიდევ დიდ ხანს იდგა სვეტებად ალი და კვამლი. უმცროსმა სერჟანტმა ძარაზოვმა იმავე გზით, მზესუმზირის ნათესზე, მოიყვანა უკან თავისი ჯგუფი.

ა. მალიბაშვილი

ამიერ-კავკასიის ახალგაზრდობა მთელ ძალებს მტრის განადგურებას მოახმარს

თბილისის სპილენძსატკეცი ქარხნის ახალგაზრდა მუშაკთა წერილი ალავერდის სპილენძსადნობი ქარხნის ახალგაზრდობისადმი

ძვირფასო ამხანაგებო! ამიერ-კავკასიის მოძმე ხალხების ახალგაზრდობის წარმომადგენელთა ანტიფაშისტურმა მიტინგმა მოუწოდა საქართველოს, [illegible] ახალგაზრდებს გააძლიერონ ფრონტისადმი დახმარება, რათა წითელმა არმიამ დიდი სტალინის ხელმძღვანელობით კავკასიის ამაყი მთების ძირში ხერხემალი გადაუტეხოს გამხეცებულ ფაშიზმს.

ამ მოწოდებამ ჩვენ აღგვაფრთოვანა, უფრო მჭიდროდ დაგვრაზმა შრომის ფრონტზე წინასაოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრებით ახალ წარმატებათა მოსაპოვებლად, რომ დიდი ოქტომბრის რევოლუციის სახელოვან XXV წლისთავს სახელოვნად შევხვდეთ. ამიტომ გადავწყვიტეთ მოგმართოთ ამ წერილით და გაცნობოთ, რომ ჩვენ კიდევ უფრო გავაძლიერებთ ბრძოლას გეგმების გადაჭარბებით შესრულებისათვის, ყველაფერს გავაკეთებთ ფრონტისათვის, საზიზღარ გერმანელ ოკუპანტებზე გამარჯვების მოსაპოვებლად.

ჩვენს ქარხანას მრავალი მოწინავე ახალგაზრდა ჰყავს, რომლებიც ფრონტულად მუშაობენ. ესენი არიან მდნობელები დ. კიკნაძე, მ. დავითაშვილი, მგლინავები ნ. შომახია, შ. კვეხიშვილი, გ. ბერიაშვილი, ა. მანუსაჯიანი, ალ. გველესიანი, ა. ჯაფარიძე, ს. ხარებავა და სხვები. მათი საწარმოო წარმატებების მაჩვენებელია 160-240 პროცენტი. მაგრამ ჩვენ მიღწეულით არ ვკმაყოფილდებით. კიდევ უფრო გავზრდით ახალგაზრდა სტახანოველთა რიგებს, გავაძლიერებთ ბრძოლას ეკონომიისათვის, ახალი მუშების საწარმოო კვალიფიკაციის ასამაღლებლად, შევაგროვებთ ჯართს, მოვაწყობთ კომკავშირულ კვირაობებს.

წელს ჩვენი ქარხანა გეგმებს დიდი გადაჭარბებით ასრულებს და რესურსების მნიშვნელოვან ეკონომიას აღწევს. მაგრამ სამამულო ომის ვითარებაში ეს ჯერ კიდევ არ არის საკმარისი. ძვირფასო მეგობრებო! თქვენს თავდადებულ მუშაობას ჩვენი ქარხნისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს. მოგვაწოდეთ უფრო მეტი და მაღალხარისხოვანი ნედლეული. ამით ჩვენ უფრო მეტ პროდუქციას დავუმზადებთ ფრონტს პირსისხლიანი ჰიტლერელი ხროვის გასანადგურებლად.

გავაძლიეროთ სამხედრო ტემპებით მუშაობა!

ლენინ-სტალინის დიადი პარტიის მიერ ხალხთა ძმობისა და მეგობრობის სულისკვეთებით აღზრდილი ამიერ-კავკასიის ახალგაზრდობა ყველაფერს გააკეთებს ვერაგი მტრის—ფაშისტი მხეცების შესამუსრავად, სოციალისტური სამშობლოს დასაცავად.

გაუმარჯოს ამიერ-კავკასიის ხალხთა ურყევ სტალინურ მეგობრობას!

გაუმარჯოს ახალგაზრდობის მებრძოლ ორგანიზატორს—ლენინურ-სტალინურ კომკავშირს!

სიკვდილი გერმანელ ოკუპანტებს!

ქარხნის ახალგაზრდობის დავალებით: კ. მაღლაკელიძე — ქარხნის დირექტორი, ე. არუთინოვი — ქარხნის პარტბიუროს მდივანი, ა. ჯაფარიძე — კომკავშირელი, ბ. პეტრიაშვილი — სადნობ-საგლინავი საამქროს უფროსი, სტახანოველი მდნობლები: დ. კიკნაძე, მ. დავითაშვილი, სტახანოველი მგლინავები: ნ. შომახია, ა. სიჭინავა, ა. გველესიანი, ვ. ბუტურაშვილი, ს. ხარებავა, ა. მანუსაჯიანი.

ბრძოლები სტალინგრადისათვის

მოქმედი არმია, 2 ოქტომბერი. (საკდესის სპეც. კორესპონდენტისაგან). სტალინგრადისათვის სასტიკი ბრძოლები სულ უფრო და უფრო მეტი ძალით გრძელდება. მოწინააღმდეგემ განსაკუთრებით გააძლიერა მოძალება საქარხნო რაიონის ერთ-ერთ უბანზე.

გერმანელებს განუწყვეტლივ მოაქვთ იერიშები იმ პოზიციებზე, რომლებიც გვარდიის 6 ნაწილის მებრძოლებს უკავიათ. ჰიტლერელებს თითოეული იერიში დიდი სისხლის ფასად უჯდებათ. მაგრამ გერმანიის სარდლობა ზარალს არაფრად აგდებს და ახალ-ახალ ნაწილებს ჰგზავნის ბრძოლაში.

მთელი რიგი იერიშების ჩაშლის შემდეგ, რომლის დროსაც გაჟლეტილ იქნა მტრის ერთ ბატალიონამდე ქვეითი ჯარი, ფაშისტებმა ათობით ბომბდამშენი აამოქმედეს. მტრის ავიაციამ მასირებული თავდასხმა მოახდინა ჩვენს თავდაცვაზე. თვითმფრინავების საფარქვეშ იერიშზე წამოვიდნენ ფაშისტთა ტანკები. ჩვენმა მებრძოლებმა მტრის მოძალებას გაუძლეს, ჰიტლერელთა იერიშები მოიგერიეს, 700 ჯარისკაცი და ოფიცერი გაჟლიტეს და რამდენიმე ტანკი დააზიანეს.

დ. შჩუკინი

ბრძოლები სტალინგრადის ჩრდილოეთ-დასავლეთით

მოქმედი არმია, 2 ოქტომბერი (საკდესის სპეც. კორესპონდენტისაგან). ვოლგის უსაზღვრო ველთა სივრცეზე სტალინგრადის ჩრდილოეთ-დასავლეთით სრული დღე-ღამეა, რაც სასტიკი ბრძოლები სწარმოებს. ორივე მხარემ დიდძალი ტანკი აამოქმედა.

ერთ-ერთ უბანზე ჩვენმა ქვეგანაყოფებმა დაიკავეს მტრის დასაყრდენი პუნქტი, რომელსაც გარს არტყია ტანკსაწინააღმდეგო და ქვეითი ჯარის საწინააღმდეგო ლობურები. ჩვენი მებრძოლნი დიდხანს ემზადებოდნენ იერიშისათვის. დასასრულ გულმოდგინედ შენიღბული ქვეითი ჯარი ნაღმსატყორცნთა ცეცხლის საფარქვეშ ზედ მიადგა ფაშისტთა თავდაცვის წინა კიდეს და საწყისი პოზიციები დაიკავა. ბრძოლა პირველად დაიწყეს საბჭოთა ტანკებმა. ბრძოლამ ერთბაშად სასტიკი ხასიათი მიიღო და რამდენიმე საათს გაგრძელდა. ბრძოლის შედეგად მოსპობილია გერმანელთა 7 ტანკი და ორ ასეულამდე ქვეითი ჯარი.

საბჭოთა ნაწილები მეზობელ უბნებზედაც აქტიურ მოქმედებას ეწეოდნენ. ჩვენმა სატანკო ქვეგანაყოფებმა დახოცეს 200 გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი, მოსპეს 14 ქვემეხი, 8 ტანკი, 2 ჯავშნიანი მანქანა და დაანგრიეს 12 მიწური საცეცხლე წერტი. წამოყვანილია ტყვეები. სხვა ადგილას 6 შენაერთმა მტრის 17 კონტრიერიში მოიგერია. ბრძოლის ველზე დარჩა რუმინელ ჯარისკაცთა და ოფიცერთა 900 გვამი.

წარმატებით მოქმედებდნენ 5 ნაწილის შორსმსროლელ ქვემეხთა არტილერისტები. იმათ სროლისთვის ხელსაყრელი პოზიცია დაიკავეს, მარჯვედ შენიღბეს ქვემეხები და სროლა აუტეხეს მტრის პოზიციებს. კომკავშირელმა მზვერავმა ვიტალი მიამლინმა აღმოაჩინა მტრის საცეცხლე წერტები, არტილერიის სათვალთვალო პუნქტი და საომარი მასალის საწყობი. მზვერავის ცნობის მიხედვით, არტილერისტებმა ყველა ეს სამიზნოები მოსპეს.

ი. ევზერიხინი

ბრძოლები ვორონეჟის რაიონში

მოქმედი არმია, 2 ოქტომბერი (საკდესის სპეც. კორესპონდენტებისაგან). ვორონეჟის რაიონში ჩვენს ნაწილებს იერიში მიაქვთ მტრის გამაგრებულ წინააღმდეგობის კვანძზე. ჰიტლერელები ეყრდნობიან მიწური საცეცხლე წერტების განშტოებულ ქსელს, ნაღმიან ველებს და მავთულხლართებს და შეუპოვარ წინააღმდეგობას ეწევიან.

ჩვენი არტილერიის, ნაღმსატყორცნებისა და ბომბდამშენი ავიაციის ცეცხლით მტრის თავდაცვა გარღვეულ იქნა. მესანგრეებმა უვნებელჰყვეს ნაღმიანი ველები და დაანგრიეს მავთულხლართები. საბჭოთა მეავტომატეები შეიჭრნენ მტრის სანგრებში და ხელჩართული ბრძოლა გაუმართეს გერმანელებს. მტერს დიდი ზარალი მოსდის. წითელარმიელებმა გაჟლიტეს ერთ ასეულამდე მტერი.

სასტიკი ბრძოლა გაჩაღდა მეზობელ უბანზე. ჩვენი ნაწილები სოლივით შეიჭრნენ ფაშისტთა თავდაცვაში და იწყეს გერმანელთა გარშემორტყმა. მებრძოლებმა გაჟლიტეს ერთი ბატალიონი ფაშისტთა ქვეითი ჯარი და მოსპეს ორი ნაღმსატყორცნი ბატარეა.

დიდი ზარალი ნახეს ჰიტლერელებმა ერთი მაღლობისათვის ბრძოლაში. სისხლისმღვრელ შეტაკებათა დროს მტრის სანგრებსა და თხრილებში დახოცილია 350 ჰიტლერელი. მებრძოლებმა გაანადგურეს გერმანელთა 2 მიწური საცეცხლე წერტი და რამდენიმე ბლინდაჟი. ნაღმსატყორცნის გუნდმა აბდულინის, მოლჩანოვისა და კაშენცევის შემადგენლობით 53 ფაშისტი გაჟლიტა.

საბჭოთა თვითმფრინავებმა მარჯვე თავდასხმა მოაწყეს გერმანელთა რკინიგზის ეშელონებზე. მფრინავმა დაჟემოლსკიმ ბომბების მარჯვე მოხვედრით დაამსხვრია გერმანელთა ერთი ეშელონი. გერმანელთა მეორე შემადგენლობა ქვეითი ჯარიანად და ტვირთიანად მწყობრიდან გამოიყვანეს მფრინავებმა კორნეევმა და შირშიკოვმა.

ზ. კრილოვი
ფ. ორეშკინი

გერმანელთა დიდი დანაკლისი მოზდოკის რაიონში

მოქმედი არმია. როდესაც გერმანელთა მე-6 სატანკო პოლკის ტყვედ წამოყვანილ ტანკისტს ალბაუმ ციმერმანს ჰკითხეს, თუ როგორია გერმანელთა დანაკლისი მოზდოკის რაიონში, მან უპასუხა: „ჩვენ ნაბრძანები გვქონდა თავი მოგვეყარა ერთ ხევში. როდესაც ამ ხევში შევედით, იქ სუნთქვა არ შეიძლებოდა. ყველგან ჩვენი ჯარისკაცების გახრწნილი გვამები ეყარა. ჩვენ გვიამბეს, რომ ერთი კვირის წინათ აქ რუსების არტილერიამ გერმანელთა ერთ ბატალიონამდე ქვეითი ჯარს მიაგნო. თავის გადარჩენა ძალიან ცოტამ მოახერხა. მოზდოკის დაბლობს ჩვენ ახლა „სიკვდილის დაბლობს" ვეძახით".

აი სხვა ტყვეების ჩვენება. მე-3 სატანკო დივიზიის ავტოსანიტარული ოცეულის სანიტარული მანქანის შოფერი რუდოლფ ვინკერმანი მოგვითხრობს: „ჩვენი დივიზიისაგან ზურგის პატარ-პატარა ნაწილებიღა დარჩა. ჩემი ოცეული მომსახურებას უწევს სხვა დივიზიების ნაწილებს. ჩვენ დღედაღამ ვმუშაობთ, მაგრამ ყველა დაჭრილის ევაკუირებას ვერ ვასწრებთ. არ გვყოფნის სახვევი მასალები, ამიტომ ჭრილობებისაგან ბევრი იხოცება".

668-ე ქვეითი პოლკის მე-3 ასეულის ტყვედ წამოყვანილმა ეფრეიტორმა გივერტ ჰარტმა განაცხადა: „ჩვენი პოლკის ასეულებში მოზდოკთან ოპერაციების დაწყებამდე თითოში 190 კაცი ითვლებოდა. ახლა სულ ბევრი 20-15 დარჩა. ამასთან დაკავშირებით 667-ე და 666-ე პოლკები ერთ პოლკად გააერთიანეს. ამასწინათ მოკლულ იქნა 668-ე პოლკის მეთაური პოლკოვნიკი შმიტჰამლერი".

„რუსები დღედაღამ ჰაერიდან გვბომბავენ და ქვემეხებს გვიშენენ,—ამბობს 668-ე ქვეითი პოლკის ჯარისკაცი იოჰან პოლკერი. საჭმლის მოზიდვა გაძნელებულია. ჩვენ საშიმშილო ულუფაზე ვსხედვართ. უკანასკნელ სამ დღეს არაფერი არ გვიჭამია, უკვე ერთი კვირაა თამბაქო არ მოგვიწევია. ჯარისკაცებს ტილები სჭამენ. ყველა სასოწარკვეთილებას მიეცა. ყველას მხოლოდ ერთი რამ სურს—მალე დააღწიოს თავი ამ წყეულ დაბლობს",—განაცხადა დასასრულ ტყვე ჰიტლერელმა.

(მიღებულია რადიოთი საქრადიოკომიტეტის მიერ).

საოქტომბრო საჩუქრები გმირ წითელ არმიას

საქართველოს მშრომელები უდიდესი სიყვარულით ამზადებენ საჩუქრებსა და თბილ ნივთებს გმირი წითელი არმიის მებრძოლთა და მეთაურთათვის.

მოკლე ხნის განმავლობაში საქართველოს მშრომელებმა შეაგროვეს ასი ათასობით მანეთი, დიდძალი თეთრეული, ცხვრის ტყავი, თექის ჩექმა, ხელთათმანი, თბილი წინდა, თამბაქო, ღვინო და სხვა პროდუქტები.

თბილისის ლ. პ. ბერიას სახელობის ფეხსაცმლის ფაბრიკის მთელი კოლექტივი ოქტომბრის რევოლუციის XXV წლისთავისათვის წითელი არმიის მებრძოლებს, მეთაურებსა და პოლიტმუშაკებს საჩუქრებად უგზავნის ხილს, თამბაქოს, ტკბილეულს, ნამცხვრის და სხვა ამანათებს. აგრეთვე გაგზავნილი იქნება თბილი ტანსაცმელი. საჩუქრების შეგროვება გრძელდება.

თამბაქოს ფაბრიკების სამმართველოს მუშაკებმა გადასწყვიტეს წითელი არმიის მებრძოლებს დიადი იუბილეს აღსანიშნავად დაუმზადონ კოლექტიური ამანათები — კონვერტები, საწერი ქაღალდი, 40.000-მდე ცალი უმაღლესი ხარისხის პაპიროსი და სხვ.

მებრძოლებისათვის საოქტომბრო საჩუქრების შეგროვებას აგრეთვე შეუდგნენ კ. მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრი, № 6 საფეიქრო ფაბრიკა, ბერიას სახელობის ამიერ-კავკასიის რკინიგზის სამმართველო, № 1 ტყავის ქარხანა და სხვ.

* * *

ქუთაისი („კომუნისტის" საკ. კორესპონდენტისაგან). ქუთაისის საწარმო-დაწესებულებების მუშა-მოსამსახურეები წითელი არმიის მებრძოლებისათვის ამზადებენ საოქტომბრო საჩუქრებს. ქუთაისის ქიმიური საღებავების, შუშის, ლიმონათის, მექანიკური ქარხნებისა და ტრიკოტაჟის ფაბრიკის მუშა-მოსამსახურეებმა საჩუქრების ფონდში გადასცეს ექვსი ათასი მანეთი, ხოლო მაუდის ფაბრიკამ ოთხი ათასი მანეთი. აღნიშნული თანხებით შეძენილი იქნება თამბაქო, არაყი, კონიაკი, ხილი, საკონდიტრო ნამცხვარი, რაც ახლო ხანში გაიგზავნება მოქმედ არმიაში.

საქართველოს კოლმეურნენი—გმირ წითელ მებრძოლებს

საგარეჯოს რაიონის მშრომელებმა შეაგროვეს 35 ათასი მანეთის თბილი ნივთები და, გარდა ამისა, 300 ტყავი, დიდძალი თბილი წინდა და ხელთათმანი. მარტო სოფ. კაკაბეთის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობა წითელი არმიის მებრძოლთათვის ამზადებს 100 წყვილ მატყლის წინდას, 100 წყვილ ხელთათმანს, 50 ცხვრის ტყავსა და დიდძალ სხვა თბილ ნივთებს.

კასპის რაიონის სოფ. სამთავისის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის წევრმა ქალებმა 1.040 მანეთი შეაგროვეს საჩუქრების შესაძენად.

დიდ მზრუნველობას იჩენენ წითელფრონტელებზე თბილისის რაიონის კოლმეურნე ქალები და მამაკაცები. მათ შეაგროვეს და ამ დღეებში ფრონტზე გაგზავნეს 50 მაზარა, 1.800 შალის ფეხსახვევი, 50 დაბამბული შარვალი, 250 წყვილი თექის ჩექმა, 100 წყვილი თბილი საცვალი, 150 ქუდი, 75 წყვილი ტყავის ხელთათმანი. შეუსვენებელი ტემპებით გრძელდება რაიონში ფულისა და თბილი ნივთების შეგროვება საჩუქართა ახალი წყების გასაგზავნად. ცხვარიჭამიის სასოფლო საბჭოს კოლმეურნეობის წევრებმა, თბილი ნივთების შესაძენად უკვე შეაგროვეს 10.000 მანეთი. სოფ. კველიანის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობამ დაამზადა 25 წყვილი მატყლის წინდა, 16 წყვილი ხელთათმანი და სხვ.

ასეთივე ენტუზიაზმით მიმდინარეობს წითელი არმიის მებრძოლთა და მეთაურთათვის საჩუქრების შეგროვება და გაგზავნა საქართველოს სხვა რაიონებშიც. ფრონტზე გაგზავნილ საჩუქრებში მშრომელნი სდებენ წერილებს, სადაც ისინი გმირ მებრძოლებს მოუწოდებენ შეაჩერონ და გაანადგურონ საზიზღარი მტერი, თავის მხრივ ისინი ფიცსა სდებენ, რომ ზურგში თავდაუზოგავი შრომით უზრუნველჰყოფენ ფრონტს ყოველივე საჭიროთი, დაუღალავად განაგრძობენ სამშობლოს თავდაცვის განმტკიცებას. (საქდესი).

წინასაოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრება

ახალი საწარმოო გამარჯვებებით შევხვდეთ დიდი ოქტომბრის XXV წლისთავს

სოცშეჯიბრების დიდი ძალა

დუშეთის რაიონის კოლმეურნეები მხურვალედ გამოეხმაურნენ ალტაის მხარის სმოლენსკოეს რაიონის კოლმეურნეთა, ტრაქტორისტთა და კომბაინერთა მოწოდებას ფრონტისათვის ყოველმხრივი დახმარებისათვის წინასაოქტომბრო შეჯიბრების მოწყობაზე.

ჯავახიანთსოფლის წითელარმიელის სახელობის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე ტ. ჯავახიშვილი) მოსავალი 15 სამუშაო დღეში აიღო, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 25 სამუშაო დღისა, შეასრულა სახელმწიფო ვალდებულებები და გაცხოველებით შეუდგა საშემოდგომო ხვნას.

კოლმეურნეები სოცშეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებებს წარმატებით ასრულებენ. მაგალითად, შალვა ჯავახიშვილი მკის დღიურ გეგმას 300-400 პროცენტით ასრულებდა და წელს უკვე გამომუშავებული აქვს 311 შრომადღე. ვანია და ვანო ჯავახიშვილები მკის დღიურ გეგმებს ასრულებდნენ 200-300 პროცენტით. თითოეულმა წელს 276 შრომადღე გამოიმუშავა.

მუშაობის კარგ მაგალითებს იძლევა ქერანის XVIII პარტყრილობის სახელობის კოლმეურნეობა (თავმჯდომარე სიმონ ჭიაბრიშვილი), რომელმაც მოსავალი დროზე აიღო, ყველა სახის სახელმწიფო ვალდებულებები შეასრულა პირნათლად და დროზე.

სტახანოვურად მუშაობენ: ლადო ჭიაბრიშვილი, კატო ძიძიშვილი, რომელნიც დღიურ ნორმებს ორმაგად და სამმაგად ასრულებენ.

ომიანობის შესაფერისი ტემპებით მუშაობენ სოფ. ქვემო აშის ჩარკვიანის სახელობის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე გრიგოლ ახალაშვილი) და სოფ. არღუნის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე ვანო ჯიქური).

რაიონის კოლმეურნეობებმა იკისრეს: ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XXV წლისთავთან დაკავშირებით სანიმუშოდ ჩაატარონ საშემოდგომო ხვნა-თესვა და მისცენ ჩვენს გმირ წითელ არმიას და ჩვენს ქვეყანას სულ უფრო და უფრო მეტი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები.

სოფიო მიქელოვა

საქ. კ. პ. (ბ) დუშეთის რაიკომის ინსტრუქტორი.

კოლმეურნეები ალტაელთა მოწოდებას საქმით უპასუხებენ

მახარაძე („კომუნისტის" კორ.). ალტაის მხარის სმოლენსკოეს რაიონის კოლმეურნეთა ტრაქტორისტთა და კომბაინერთა მოწოდებას მახარაძის რაიონის კოლმეურნეები და მტს-ის მუშაკები საქმით უპასუხებენ. მტს-მა ნიადაგის მოხვნის, ჩაის პლანტაციების კულტივაციისა და საქონლის საკვების დასილოსების გეგმები გადაჭარბებით შეასრულა. ამავე დროს დაზოგა 1,5 ტონა საწვავი მასალა. გადაჭარბებით არის შესრულებული ტრაქტორების ნაწილების რესტავრაციისა და დამზადების გეგმები.

საკოლმეურნეო მინდვრებში სტახანოვურად მუშაობენ ანდღულაძის, ჩხაიძისა და თოდრაძის სატრაქტორო ბრიგადები. ტრაქტორისტმა ფურმანმა აგვისტოს და სექტემბრის გეგმები 120 პროცენტით შეასრულა და 400 კილოგრამი საწვავი დაზოგა. მტს-ის მუშაკებმა იკისრეს ახალი დამატებითი ვალდებულებანი: გეგმის გადამეტებით გალეწონ 300 ტონა სოია, შეაკეთონ 6 ტრაქტორი და მზრალად მოხნან 200 ჰექტარი.

რაიონის 40 კოლმეურნეობიდან თორმეტმა უკვე შეასრულა ჩაის მწვანე ფოთლის კრეფის წლიური გეგმა. გეგმების შესრულებაში მოწინავეთა რიგებში არიან ნატანების, შრომის, გურიანთის, მერიის, ლიხაურის და შემოქმედის კოლმეურნეობები. მახარაძელ კოლმეურნეებს გადაწყვეტილი აქვთ წელს ვადაზე 20 დღით ადრე შეასრულონ ჩაის მწვანე ფოთლის კრეფის წლიური გეგმა.

ამ დღეებში რაიონში დაიწყება სიმინდის უხვი მოსავლის აღება, რისთვისაც კოლმეურნეობები მზად არიან. გაცხოველებით მიმდინარეობს საკოლმეურნეო ფერმების ბინების შეკეთება. მახარაძელი კოლმეურნეები პირობას იძლევიან, რომ ალტაის მხარის კოლმეურნეთა მოწოდების პასუხად 1942 წლის ყველა ძირითად სასოფლო-სამეურნეო სამუშაოს შეასრულებენ ვადაზე ადრე, ოქტომბრის რევოლუციის XXV წლისთავისათვის.

ლ. ლოლაძე

ჩაის კრეფის მოწინავენი

ცხაკაია („კომუნისტის" კორ.). რაიონის კოლმეურნეობებში წინასაოქტომბრო სოციალისტურმა შეჯიბრებამ ახალი ძალით გაჩაღდა. კოლმეურნეობებმა და კოლმეურნეებმა ახალი, დამატებითი ვალდებულებები იკისრეს და საქმით შეუდგნენ მათ განხორციელებას.

კოლმეურნეობებში გაცხოველებით მიმდინარეობს ჩაის მწვანე ფოთლის კრეფა. მთელმა რიგმა კოლმეურნეობებმა ვადაზე 8 დღით ადრე და დიდი გადამეტებით შეასრულეს სექტემბრის გეგმები. სოფ. ბეთლემის ბერიას სახელობის კოლმეურნეობამ ჩაის კრეფის სექტემბრის გეგმა ვადაზე ადრე 118 პროცენტით შეასრულა, სოფ. ფოცხოს ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობამ კი 110 პროცენტით. მოწინავეა აგრეთვე სოფ. ზანის ბერიას სახელობის კოლმეურნეობა.

ჩაის კრეფაში წინ მიდის სოფ. ზანის კოლმეურნეობა „ლენინის დროშით", სოფელ ხორშის კუიბიშევის სახელობის, სოფ. ნოქალაქევის მოლოტოვის სახელობის, სოფ. ფოცხოს სტალინის სახელობის, სოფ. უშაფათის სტალინის სახელობის და სხვა კოლმეურნეობები.

ს. ქუჩავა

თავდადებული შრომით ვეხმარებით გმირ წითელ არმიას

თბილისის მე-6 სამკერვალო ფაბრიკის კოლექტივმა წინასაოქტომბრო სოციალისტურ შეჯიბრებაში ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებისათვის ბრძოლაში მნიშვნელოვანი საწარმოო გამარჯვება მოიპოვა, — საერთო პროდუქციის გამოშვების წლიური გეგმა ვადაზე ადრე — 28 სექტემბრისათვის მთლიანად შეასრულა, საგრძნობლად აამაღლა შრომის ნაყოფიერება, შეამცირა თვითღირებულება და აღმოფხვრა წუნი.

საამქროებში ბრიგადები და ცალკეული სტახანოველები შრომითი მამაცობის ნიმუშებს იძლევიან. მედალოსან ზ. ბჟალავას ბრიგადამ წლიური დავალება 15 სექტემბრისათვის 107,4 პროცენტით შეასრულა და შეჯიბრებაში ფაბრიკის პირველობა მოიპოვა. მაღალ საწარმოო მაჩვენებლებს აღწევს აგრეთვე მე-6 ბრიგადა (ხელმძღვანელი ამხ. ა. არუთინოვა), რომელმაც წლიური გეგმა გადამეტებით შეასრულა.

ორ და უფრო მეტ ნორმას იძლევიან კომუნისტები ს. სააკოვა, მ. ავაქოვა, შ. აგარონოვა, კომკავშირელი მ. აივაზოვა, არაპარტიული ბოლშევიკები ტ. გაბაევა, შ. პუშჩოვსკაია და სხვ.

ფაბრიკის კოლექტივი მთელ თავის შესაძლებლობას მოახმარს იმას, რომ უზრუნველჰყოს წინასაოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულების შესრულება — წლის ბოლომდე გეგმის გადამეტებით გამოუშვას 150 ათასი მანეთის პროდუქცია და ზურგში თავდადებული შრომით დაეხმაროს ჩვენს სახელოვან წითელ არმიას ვერაგი მტრის — პირსისხლიანი ფაშიზმის განადგურებაში.

გ. გაბუნია

„მკერავის" № 6 ფაბრიკის დირექტორი.

სექტემბრის დავალება გადამეტებით შეასრულეს

ჭიათურა („კომუნისტის" კორ.). ჭიათურის მარგანტრესტის მთავარი მექანიკური სახელოსნოს კოლექტივმა (დირექტორი ორდენოსანი გეწაძე) წინასაოქტომბრო შეჯიბრების გაჩაღებით სექტემბერში დიდი წარმატება მოიპოვა. მარტო სექტემბერში სახელოსნოს კოლექტივმა ფრონტს გეგმის გადამეტებით მისცა 120.000 მანეთის მაღალხარისხოვანი პროდუქცია. სექტემბერში დაზოგა 20 ტონა თუჯი და 30 პროცენტი კოქსი. აგვისტოსთან შედარებით სექტემბერში გამოუშვა სამჯერ მეტი პროდუქცია.

თავდადებული მუშაობით გამოირჩევიან ინჟინრები ჩიხელიძე, ფაღავა, ხუნცარიძე, გოცაძე; ოსტატები რუხაძე, ცარციძე, რუსეცკი; ხარატები კაპანაძე, ჩუბინიძე, ბარბაქაძე, ბუაძე; ზეინკლები ლაბაძე, გელაშვილი; ჩამომსხმელები ჯაჯანიძე, ხიხაძე. ისინი დავალებებს 300-400 პროცენტით ასრულებენ.

პ. ჭილაძე

ლითონის გამოშვება 20 პროცენტით გაადიდეს

ზესტაფონი („კომუნისტის" კორ.). ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის მარგანეცის საამქრომ თვიური დავალება 30 სექტემბერს შეასრულა. აქ სექტემბერში ლითონის გამოშვება აგვისტოსთან შედარებით 20 პროცენტით გაიზარდა, ღუმელებმა ნაცვლად 12 დღისა მთელი თვე ურემონტოდ იმუშავეს. სექტემბერში ნაცვლად 42 დნობისა ჩატარდა 103 დნობა.

საამქროს კოლექტივმა 2 პროცენტით დაზოგა მაზუთი, კოქსი, ცეცხლგამძლე აგური. მეტი ლითონისათვის ბრძოლაში განსაკუთრებით ისახელეს თავი მეტალურგებმა ალეიკომ, რუხაძემ, ფედერენკომ, სილენკომ, ნებიერიძემ, შატულოვმა, სვანიძემ, ჩერკოვსკიმ და სხვ.

ზესტაფონელი მეტალურგები ახალ საწარმოო საჩუქრებს ამზადებენ დიდი ოქტომბრის XXV წლისთავისათვის.

უკანასკნელი ცნობები

საომარი მოქმედება ახლო აღმოსავლეთში

ლონდონი, 2 ოქტომბერი (ტასი). როგორც ოფიციალურად იუწყებიან, ინგლისის ჯარებმა 30 სექტემბერს დილას იერიში მიიტანეს და რამდენადმე წინ წაიწიეს ეგვიპტის ფრონტის ცენტრალურ უბანში მუნახიბის რაიონში. დღის განმავლობაში ინგლისელები ახალ პოზიციებზე მაგრდებოდნენ და მოწინააღმდეგის კონტრიერიშები მოიგერიეს. ფრონტის ჩრდილოეთ და ცენტრალურ უბნებზე ინგლისის არტილერიამ გუშინ სროლა აუტეხა მოწინააღმდეგის პოზიციებს.

ავიაციის მნიშვნელოვანმა ძალებმა 30 სექტემბერს ღამით იერიში მიიტანეს ტობრუკზე. შემჩნეულია, რომ ბომბები პირდაპირ მოხვდა მტრის გემებს. ინგლისის ავიაგამანადგურებლებმა ბრძოლა გაუმართეს მოწინააღმდეგის მოპიკირე ბომბდამშენებს და აიძულეს ისინი თავიანთი ჯარებისათვის დაეყარათ ბომბები.

ინგლისის ავიაციის მოქმედება

ლონდონი, 2 ოქტომბერი (ტასი). როგორც ოფიციალურად იუწყებიან, გუშინ ინგლისის ბომბდამშენები თავს დაესხნენ სლეისკილის (ჰოლანდია) ქიმიურ ქარხანას და გენტის ახლოს არსებულ ნავთსადენ ქარხანას. შემჩნეულია, რომ ბომბები ორივე საწარმოს მოხვდა. 1 ოქტომბერს ღამით ინგლისის თვითმფრინავებმა დაბომბეს წყალქვეშა ნავების სამშენებლო ფლენსბურგში და სხვა ობიექტები ბალტიის სანაპიროზე. ამავე დროს სანაპირო ავიაციამ იერიში მიიტანა მოწინააღმდეგის გემებზე ჰოლანდიის ნაპირებთან. ყველა ამ ოპერაციიდან 17 ბომბდამშენი არ დაბრუნებულა.

შვეციის პოლიციის თვითნებობა

სტოკჰოლმი, 30 სექტემბერი (ტასი). საბჭოთა მისიამ სტოკჰოლმში პროტესტი განუცხადა შვეციის საგარეო საქმეთა სამინისტროს იმის წინააღმდეგ, რომ შვეციის პოლიციამ დააპატიმრა სააქციო საზოგადოება „ინტურისტის" თანამშრომელი, საბჭოთა მოქალაქე სიდორენკო, რომელსაც პოლიციაში მეტად უხეშად მოექცნენ. შვეციის დეპეშათა სააგენტომ, როგორც ჩანს, იმ მიზნით, რომ როგორმე აეხსნა შვეციის პოლიციის თვითნებური მოქმედება, გამოაქვეყნა ცნობა, რომელშიც ცდილობს დაუკავშიროს საბჭოთა მოქალაქის უსაფუძვლო დაკავება რამდენიმე შვედი მოქალაქის დაპატიმრებას, რაც ამ დღეებში მოხდა სტოკჰოლმში. საბჭოთა მისიამ შვეციის ხელისუფალთ მოსთხოვა დაუყოვნებლივ გაანთავისუფლონ სიდორენკო.

იუგოსლაველ პარტიზანთა ბრძოლა

ჟენევა, 2 ოქტომბერი (ტასი). იუგოსლავიიდან მიღებული ცნობების თანახმად, პარტიზანული რაზმები წარმატებით დაესხნენ თავს ნავთის სარეწებს კუტინში. გერმანელთა და უსტაშთა გარნიზონი, რომელიც ამ სარეწებს იცავდა, გაჟლეტილია, სარეწებს კი ცეცხლი წაუკიდეს. გერმანელმა ოკუპანტებმა და პაველიჩის ბანდებმა აქამდე ვერ შესძლეს ჩაექროთ ხანძარი, რომელმაც შთანთქა კუტინის ნავთის საბადოს ტერიტორიაზე მდებარე ყველა შენობა და მანქანა.

ამ უკანასკნელ ხანს იტალიელმა ოკუპანტებმა ძლიერი იერიშები მიიტანეს სლოვენიის ცენტრალური ნაწილის წინააღმდეგ, რომელიც პარტიზანებმა გაათავისუფლეს. შეტევაში მონაწილეობდა იტალიელთა 6 დივიზია, რომელთა განკარგულებაში იყო თვითმფრინავები, ტანკები და არტილერია. მაგრამ თვენახევრის განმავლობაში მოწინააღმდეგემ მეტად უმნიშვნელო შედეგებს მიაღწია, ამასთან მძიმე ზარალი ნახა.

აგვისტოს შუა რიცხვებში 20.000-მდე გერმანელი და უსტაშთა ჯარისკაცი შეტევაზე გადავიდა იმ პოზიციების წინააღმდეგ, რომლებსაც იცავენ ბანიის პარტიზანული რაზმები. თხუთმეტი დღის ბრძოლის შემდეგ მტერი იძულებული გახდა უკან დაეხია თავდაპირველ პოზიციებზე. ბანიის ტერიტორია წინანდებურადვე პარტიზანების ხელშია.

ხორვატიაში პარტიზანებმა გაანადგურეს ორი გარნიზონი და ხელთ იგდეს მდიდარი დავლა და 200 ტყვე. წამოღებული რამდენიმე ვაგონი ხორბალი აქვე დაურიგეს მოსახლეობას.

ბ-ნ უენდელ უილკის საუბარი „იზვესტიას" კორესპონდენტთან

მოსკოვში მყოფმა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის პირადმა წარმომადგენელმა ბ-მა უენდელ უილკიმ საუბარში „იზვესტიას" თანამშრომელთან, რაც გუშინ შესდგა, სთქვა:

— მე მსურს დავიწყო პირადი მადლობით საბჭოთა კავშირისა და რუსი ხალხისადმი. თუ არ ვილაპარაკებთ რუსეთში ჩემი ჩამოსვლის ოფიციალურ მიზნებზე, ყველაზე დიდი შთაბეჭდილება ჩემზე მოახდინა რუსეთის ბრძოლის ნამდვილ ხასიათთან გაცნობამ. მე მომიხდა ყოფნა საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე, მოქმედ არმიაში. რუს ჯარისკაცთა მობილურობამ, მხედრულმა სიზუსტემ და ძალამ კიდევ უფრო დამარწმუნა, რომ გერმანია ვერასოდეს ვერ გაიმარჯვებს. რუს ოფიცრებთან შეხვედრამ განსაკუთრებით განმიმტკიცა ეს რწმენა. მხოლოდ მაშინ, როდესაც ხედავ გრანდიოზული ტრანსპორტის ორგანიზაციას არმიის მოსამარაგებლად, როდესაც აკვირდები შტაბებთან ოფიცრების კავშირგაბმულობის ორგანიზაციას, გესმის, თუ რა უდიდესია რუსეთის ფრონტი და რა უდიდესია იმ ომის მასშტაბები, რომელსაც ჩვენი რუსი მოკავშირენი ეწევიან.

დიდ შთაბეჭდილებას ახდენს მოსკოვის დინჯი რწმენა. ეს, თუ შეიძლება ასე ითქვას, რწმენის სიჩუმეა. იგი გაცილებით უფრო დიდ შთაბეჭდილებას ახდენს, ვიდრე ნერვიული ფუსფუსი ან მშფოთვარე აგიტაცია. ყველა ადამიანი—მუშები, მოსამსახურეები, ინტელიგენტები, რომლებთანაც მე შეხვედრა მიხდებოდა,—გამსჭვალული არიან გამარჯვების რწმენის ამ გრძნობით. მე ვინახულე ლენინის სახელობის ბიბლიოთეკა, საბჭოთა სკოლები, ბოტკინის სახელობის ჰოსპიტალი, სადაც ბრწყინვალედ არის დაყენებული დაჭრილთათვის სისხლის გადასხმა. ყოველივე იმისგან, რაც მე რუსეთში ვნახე, მრჩება უწინარეს ყოვლისა გრძნობა რუსი ხალხის მტკიცე რწმენისა, რომ იგი გაიმარჯვებს. მე აღტაცებული ვარ ხალხის ამ სიმტკიცით, იმ ხალხისა, რომელსაც ესოდენ დიდი და ესოდენ მძიმე განსაცდელის გადატანა უხდება.

რა თქმა უნდა, ვერავინ ვერ გაიგებს ისეთ დიდ ქვეყანას, როგორიც რუსეთია, თუ მთელი რიგი წლების განმავლობაში არ შეისწავლა იგი. მაგრამ რუსეთში თქვენ გესმით ჭეშმარიტი მნიშვნელობა ფრაზისა: „ეს სახალხო ომია". რაც რუსმა ხალხმა უკვე გააკეთა, ამან არ შეიძლება არ აალელვოს ყოველი ამერიკელი.

მილიონობით რუსი ქალები დგანან მანქანებთან სამხედრო ქარხნებში. ყოველი ფიზიკურად ვარგისი ადამიანი არმიაშია ან მუშაობს სამხედრო ქარხანაში, ანდა სოფლად. ყოველი ადამიანი საათების მაქსიმალურ რაოდენობას ახმარს თავგამოდებულ და გულმოდგინე შრომას.

როდესაც რუსეთში მოვემგზავრებოდი, მე მეგონა, რომ ეს იქნებოდა იმ ქვეყნის ნახვა, რომელიც უკვე მეტად მოქანცულია ომისგან გამოწვეული უბედურებებით. მე მეგონა, რომ აქ ცოტას დავინახავდი და კიდევ უფრო ნაკლებს გავიგონებდი. მაგრამ მე არ შემეძლო უფრო დიდი შეცდომა დამეშვა.

საბჭოთა მთავრობამ მე მომცა ყოველი შესაძლებლობა გავცნობოდი იმას, რასაც კი მოვისურვებდი. მან შესაძლებლობა მომცა შემესწავლა სამრეწველო და სამხედრო საწარმოები, კოლმეურნეობები, სკოლები და ფრონტი. მე მოვახერხე მესაუბრნა არა მარტო სტალინთან და მოლოტოვთან და ხალხის სხვა ხელმძღვანელებთან.—მე შემეძლო მშვიდად და სრულიად შეუზღუდავად მიმეცა კითხვები მამაკაცებისა და ქალებისათვის ქარხნის კონვეიერთან ან კოლმეურნეობაში.

მე მივხვდი, რომ რუსმა ხალხმა გააკეთა თავისთვის ერთადერთი დასკვნა: გამარჯვება ან სიკვდილი. რუსი ხალხი მხოლოდ გამარჯვებაზე ლაპარაკობს. როდესაც თვალნათლივ ვნახე ის უდიდესი ბრძოლა, რომელსაც იგი ეწევა, მე დავუსვი ჩემს თავს კითხვა: რა უფრო ეფექტიური საშუალებით შეიძლება მოვიგოთ ჩვენი ომი, გმირი რუსი მოკავშირისათვის დახმარების გაწევით.

პასუხი ჩემთვის მხოლოდ ერთი იყო: შევქმნათ დიდ ბრიტანეთთან ერთად ნამდვილი მეორე ფრონტი ევროპაში და ყველაზე უმოკლეს ვადაში, რომელსაც კი ჩვენი სამხედრო ხელმძღვანელნი მოიწონებენ. შესაძლოა, ამერიკის საზოგადოებრივ აზრს ზეგავლენის მოხდენაც დასჭირდეს მათზე.

ძალიან იოლია კომფორტაბელურ პირობებში იჯდე ამერიკაში და კითხულობდე რუსებზე, რომელნიც უმაგალითო ბრძოლას ეწევიან სტალინგრადთან და იღუპებიან, რათა დაიცვან სტალინგრადი. ჩემთვის ძნელი იყო ამეხსნა რუსი ჯარისკაცისათვის, თუ ჯერ კიდევ რატომ არ არიან მზად ამერიკა და ინგლისი იომონ ევროპაში და თავს არ ესხმიან უშუალოდ გერმანიას. იმ რისკზე მითითებამ, რომელსაც ასე უსვამენ ხაზს ჩვენი სამხედრო სპეციალისტები, შთაბეჭდილება ვერ მოახდინა ამ რუს ჯარისკაცზე.

მაგრამ, გარდა უშუალო ბრძოლისა, ახლა საჭიროა სხვა რამეც ვაკეთოთ.

უნდა გავაორკეცოთ ჩვენი ღონისძიებანი, რათა მოვაწოდოთ რუსეთს ტანკები, თვითმფრინავები და ყოველი სხვა საომარი საჭურველი. ჩვენი გემთმშენებლობის ზრდა უნდა დაგვეხმაროს იმაში, რომ გავდოთ ამერიკიდან რუსეთში ხიდი, რომლითაც უნდა მიემართებოდეს მისი მომარაგება. ჩვენ შეგვიძლია დავეხმაროთ მას სურსათისა და მედიკამენტების გამოგზავნით, რათა გაჭირვება და ტანჯვა შევუმსუბუქოთ რუსებს.

ჩვენ შეგვიძლია დავეხმაროთ მას ნაცისტთა ქალაქებზე მასირებული თავდასხმებისა და გიგანტური დაბომბვის გაძლიერებით. რუსეთის დაზვერვის ცნობები მოწმობენ, რომ ჩვენს არამრავალრიცხოვან თავდასხმებსაც კი გამანადგურებელი და დემორალიზაციის შემტანი გავლენა ჰქონდა გერმანელებზე. რუსეთს უფლება აქვს სურდეს, რომ გერმანიაზე თავდასხმები ინგლისიდან სწარმოებდეს ყოველღამ ათასი თვითმფრინავით.

ყოველივე ეს ჩვენ მთლიანადაც, მთელი ჩვენი ენერგიით რომ შევასრულოთ, ჩვენ მაინც დავალებული ვიქნებით რუსი ხალხის წინაშე,—იმდენად ბევრი რამ გააკეთა მან და აკეთებს, რომ მოსპოს ჰიტლერიზმი.

სავსებით ბუნებრივია, რომ რუსი ხალხი მოუთმენლად მიმართავს თვალს ამერიკისაკენ, მოელის რა მისგან დახმარებას. ჩვენ არ უნდა გავუცრუოთ მას იმედები. რუსეთის ფრონტი—ეს ჩვენი, ამერიკის და ბრიტანეთის, ფრონტია. ამაღამ სტალინგრადთან მოკლული თითოეული ნაცისტი იმას ნიშნავს, რომ ნაცისტთა რიცხვს გამოაკლდა კიდევ ერთი, რომელიც შეიძლებოდა ერთ-ერთი ჩვენგანის მკვლელი გამხდარიყო ომის რომელიმე სხვა სექტორში.

რუსეთში ჩემი ჩამოსვლის მიზანი იყო,—განაცხადა დასასრულ ბ-ნმა უილკიმ,—ყოველივე სხვას გარდა—დიდ ამერიკელ ხალხსა და დიდ რუს ხალხს შორის მეგობრობისა და ურთიერთგაგების გაუმჯობესება და განმტკიცება. ამ დაახლოების ყველაზე უტყუარ საშუალებას წარმოადგენს რუსების შესანიშნავი ბრძოლა. ამერიკელი ხალხისა და რუსი ხალხის ხასიათში ბევრი საერთო თვისებაა. მე იმედი მაქვს, რომ ომის შემდეგაც ჩვენ გვექნება ერთმანეთთან მისვლა-მოსვლა არა მარტო ოფიციალური მისიებით, არამედ იმისთვისაც, რომ უკეთ გავიცნოთ და გავუგოთ ერთმანეთს.

(„იზვესტია", 27/IX).

ამერიკული პრესა კომენტარს უკეთებს უილკის განცხადებას

ნიუ-იორკი, 2 ოქტომბერი (ტასი). ამერიკის პრესა კვლავ გაცხოველებით უკეთებს კომენტარს უილკის ინტერვიუს, რომელიც მან პრესის წარმომადგენლებს მისცა მოსკოვიდან გამგზავრების წინადღეს.

გაზეთი „ვაშინგტონ პოსტი" მიესალმება უილკის განცხადებას და ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ეს განცხადება საომარ ღონისძიებათა გაძლიერებისაკენ მოუწოდებს. „საზოგადოებრივი აზრის მოთხოვნა მეორე ფრონტის გახსნის შესახებ, რასაც უილკი გამოხატავს თავის განცხადებაში,—სწერს გაზეთი,—გაერთიანებული ქვეყნების მაღალ მორალურ მდგომარეობას მოწმობს, თუმცა ეს მოთხოვნა ზოგიერთ ხელმძღვანელს ხელფეხს უბორკავს".

ამავე გაზეთის მიმომხილველი ნოვერი სწერს: მეტად სამწუხარო იქნებოდა, რომ სამხედრო ხელმძღვანელებზე „ზეგავლენის" აუცილებლობის შესახებ უილკის შენიშვნის გამო ატეხილ კამათს დაეჩრდილა უილკის მთავარი აზრი—მოკავშირეთა გადამწყვეტი მოქმედების საჭიროება წითელ არმიაზე მოძალების შესასუსტებლად. უილკის განცხადება სასარგებლოა, რადგან იგი სტალინგრადის მამაცური დაცვით გამოწვეულ ყალბ ოპტიმიზმს ჰფანტავს და ხაზგასმით აღნიშნავს მდგომარეობის სერიოზულობას. შეერთებული შტატები,—აცხადებს ნოვერი,—უდიდეს რისკს გასწევს, თუ უგულებელჰყოფს უილკის მოწოდებას.

გაზეთი „ნიუ იორკ პოსტი" სწერს: „საჭიროა დავეთანხმოთ მრავალი ქვეყნის იმ გონიერ ადამიანებს, რომელნიც აცხადებენ, რომ დადგა დრო განხორციელებულ იქნას მიზნები ევროპის კონტინენტზე, გერმანიის 30-40 დივიზია ჩამოშორებულ იქნას საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტიდან, შენელდეს მიწოლა რუსეთზე, რათა საშუალება მივცეთ მას შეტევა დაიწყოს".

გაზეთი „ბალტიმორ სენი" აკრიტიკებს უილკის განცხადებას, რომ შესაძლოა საზოგადოებრივ აზრს „ზეგავლენაც" კი მოუხდეს სამხედრო ხელმძღვანელებზე. გაზეთის აზრით, „თუ არაინფორმირებული საზოგადოებრივი აზრი ცდილობს გავლენა მოახდინოს სამხედრო გადაწყვეტილებებზე, რომლებიც მხოლოდ ექსპერტებმა შეიძლება მიიღონ, ეს ზიანს მოგვიტანს".

გაზეთი „კრისჩენ საიენს მონიტორიც" ეჭვს გამოსთქვამს უილკის წინადადების მიზანშეწონილობაში, მაგრამ აღიარებს, რომ გენერლები ზოგჯერ „ზედმეტ სიფრთხილეს" იჩენენ.

„ვაიძულოთ გერმანია ორსა და მეტ ფრონტზე იბრძოლოს"

ლონდონის გაზეთ „ტაიმსის" სტატია

ლონდონი, 2 ოქტომბერი (ტასი). გაზეთმა „ტაიმსმა" გამოაქვეყნა მეორე ფრონტის საკითხისადმი მიძღვნილი მოწინავე სტატია, გაზეთი რჩევას იძლევა აწონ-დაწონონ უპირატესობა და ნაკლოვანება გერმანიის, როგორც ისეთი სახელმწიფოს მდგომარეობისა, რომელიც ევროპის ცენტრში იმყოფება და წინააღმდეგობას უწევს გაყოფილ [illegible]

[illegible] ბომბარდირებით, რაც რუსების ღონისძიებათა დამატებად სწარმოებს.

საჭიროა, რომ ინგლის-ამერიკის სახმელეთო ძალებმა თავიანთი წონა დაურთონ რუსეთის გადამწყვეტ დარტყმებს, ეს კი ნიშნავს ახლანდელი ომის ასპარეზის გაფართოებას ან, უკიდურეს შემთხვევაში, მათ მნიშვნელოვნად განვითარებას". გაზეთი [illegible]

[illegible]

აჯანყება და თვითმკვლელობა ნორვეგიაში მყოფ გერმანიის ჯარის ნაწილებში

ლონდონი, 2 ოქტომბერი [illegible]

[illegible]

კაპიტულანტთა მფარველი [illegible] „იუსტიციის" მინისტრის [illegible]

ჟენევა, 30 სექტემბერი (ტასი). [illegible]

[illegible]

თბილისის კინოსტუდიაში

თბილისის კინოსტუდიის მუშაობა წელს ნაყოფიერია. უკვე გამოვიდა ეკრანზე „გიორგი სააკაძის" პირველი სერია, ფილმი სამამულო ომის თემაზე „ხიდი" და მრავალი საინტერესო ნარკვევი და კინოჟურნალი. განსაკუთრებით დიდი წარმატება ხვდა წილად „გიორგი სააკაძეს". აი რას გვწერს ამ ფილმის შესახებ სატანკო ეკიპაჟის უფროსი სერჟანტი დ. ვ. ზალდასტანიშვილი, რომელიც ამჟამად მოქმედ არმიაშია:

„ერთ წელზე მეტია, რაც მშობლიურ თბილისში არ ვყოფილვარ. ჩემი თბილისში ჩამოსვლა დაემთხვა „გიორგი სააკაძის" ეკრანზე გამოშვებას და ბედნიერება მქონდა მენახა ჩვენი ქვეყნის გმირთაგმირის გიორგი სააკაძის ცხოვრება და ბრძოლა საქართველოს თავისუფლებისათვის.

გმირობისა და თავდადების რამდენი აღმაფრთოვანებელი ეპიზოდია ამ ფილმში! ყოველი კადრი ახალი სიტყვაა, ყოველი მოქმედი პირი ცოცხალი ადამიანია! ვუცქერი სურათს და მინდა სათითაოდ გადავკოცნო ყოველი შემსრულებელი მშვენიერი თამაშისათვის. განსაკუთრებით გულს ხვდება შემდეგი ადგილები ფილმში — სურამის ბრძოლა, გიორგი სააკაძის შეხვედრა შაჰ აბასთან, ჩონგურის გადაცემის სცენა, ბავშვების დამღერება ჩონგურზე, პაატას მძევლად დატოვება და გიორგის გამოთხოვება შვილთან და სხვა მრავალი. სურათი „გიორგი სააკაძე" კინოხელოვნების ახალი გამარჯვებაა. დარწმუნებული იყავით, რომ ყოველი მებრძოლი ამ ფილმის ნახვის შემდეგ გააფთრებით ეკვეთება და მუსრს გაავლებს მტერს".

წერილი თავდება ამხ. მ. ჭიაურელისადმი ასეთი მიმართვით: „ბედნიერად ჩავთვლი თავს, თუ კი მტერზე გამარჯვების შემდეგ მეღირსა თქვენთან [illegible]. ჩემი სალამი თქვენს მთელ შემოქმედ კოლექტივს და კერძოდ ჩვენი სცენის სიამაყეს ვერიკო ანჯაფარიძეს, რომელმაც ასე წარმტაცად განასახიერა ქართველი ქალის და დედის როლი".

„გიორგი სააკაძის" გადამღები ჯგუფი უკვე შეუდგა მეორე სერიაზე მუშაობას. ჯგუფი მ. ჭიაურელის ხელმძღვანელობით ამჟამად ლუქსემბურგის რაიონში იღებს ნატურულ სცენებს. კერძოდ აქ გადაღებული იქნება მარტყოფის ბრძოლა და უცხოელთა ბატონობისაგან საქართველოს განთავისუფლების აღსანიშნავად გამართული სახალხო დღესასწაული.

რეჟისორ პეტროვის ჯგუფი მუშაობს ფილმზე „მოუხელთებელი იანი", რომელიც მოგვითხრობს ჩეხოსლოვაკთა თავდადებულ ბრძოლაზე გერმანელი ოკუპანტების წინააღმდეგ. ფილმი მზად უნდა იქნეს ოქტომბრის რევოლუციის ოცდახუთი წლისთავისათვის.

ნ. შენგელაიას ჯგუფი მუშაობს ი. მოსაშვილისა და კ. ლორთქიფანიძის სცენარის მიხედვით პატრიოტული ფილმის — „ის კვლავ დაბრუნდება" გადაღებაზე.

რეჟისორი მუჯირი ამთავრებს მულტიპლიკაციურ ფერად ფილმს „სამი ამხანაგი". ფილმი მზად იქნება მიმდინარე წელს. წელსვე დამთავრდება ფილმი „ქართული კინოკონცერტი", რომელსაც იღებენ ს. დოლიძე და დ. რონდელი. ეს იქნება სრულმეტრაჟიანი ფილმი, რომელიც მოგვასმენინებს ეკრანიდან ქართული მუსიკალურ-ვოკალური ხელოვნების საუკეთესო ნიმუშებს.

ხელჩართული ბრძოლის ინსტრუქტორთა სემინარი

საყოველთაო სამხედრო სავალდებულო სწავლების ქვეგანაყოფებში წარმოებულ ფიზკულტურული მუშაობის შემდგომი ხელშეწყობის მიზნით თბილისის ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტმა მოაწყო ხელჩართული ბრძოლის ინსტრუქტორთა მოსამზადებელი სემინარი. სამამულო ომის პერიოდში ეს მეექვსე სემინარია, ფიზკულტურის კომიტეტის მიერ მოწყობილი. ამ სემინარებზე მომზადებული ინსტრუქტორები უკვე კარგა ხანია ეწევიან ნაყოფიერ მუშაობას საწარმო-დაწესებულებებში, სკოლებსა და სავალდებულო სამხედრო სწავლების ქვეგანაყოფებში.

ამჯერად სემინარის მსმენელებად ჩარიცხული არიან უმცროსი და საშუალო მეთაურები და აგრეთვე ქ. თბილისის რაიონული სამხედრო კომისარიატების სავალდებულო სამხედრო სწავლების ფრიადოსანი მებრძოლნი.

საქართველოს პირველობა ფეხბურთში

დამთავრდა საქართველოს პირველობისათვის ფეხბურთში შეჯიბრების პირველი ნახევარი რომელიც დაიწყო აგვისტოს შუა რიცხვებში. თერთმეტი გუნდიდან, რომლებიც პირველობას ეცილებოდნენ ერთმანეთს, ფინალში დარჩა ხუთი გუნდი: ბათუმის, ქუთაისის, ფოთის, ბორჯომის და თბილისის „დინამოს" დუბლოსტატების გუნდი.

4 ოქტომბერს იწყება შეჯიბრების მეორე ნახევარი. დარჩენილი გუნდები პირველობას გაითამაშებენ ქულობრივი სისტემით.

პირველობის გათამაშებაში კონკურსის გარეშე მონაწილეობას მიიღებს „დინამოს" ოსტატთა გუნდი.

4 ოქტომბერს თბილისში „დინამოს" დუბლოსტატების გუნდი შეხვდება ქუთაისის გუნდს. თამაშის დასაწყისი საღამოს 5 საათზე.

თავდაცვის ფონდის გასაძლიერებლად

4 ოქტომბერს, საქართველოს სახკომსაბჭოსთან არსებულ ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტთან ჩამოყალიბებული ფიზკულტურული აგიტბრიგადა სახელმწიფო ცირკის შენობაში ატარებს დიდ სპორტულ საღამოს, რომლის მთელი შემოსავალიც გადაეცემა თავდაცვის სახალხო ფონდს.

საღამოს პროგრამაშია საქალაქთაშორისო შეხვედრა ბათუმის და თბილისის ნაკრებ გუნდებს შორის ფრანგულ ჭიდაობაში. ბათუმის ნაკრები გუნდის შემადგენლობაში არიან: მიმინოშვილი, შაფათავა, ცნობილაძე, კუპატაშვილი, სიმულიდი და მონთიძე. თბილისის გუნდი გამოვა შემდეგი შემადგენლობით: ვარძელაშვილი, მღებრიშვილი, ციმაკურიძე, საღარაძე, სტრიჟაკი და მაჩკალიანი. საღამოს მეორე ნახევარში გამოვა სპორტსმენ აკრობატების წყვილი: მსოფლიო რეკორდსმენი, შტანგისტი მ. კასიანიკი და მანუკიანი.

კრივში მონაწილეობას მიიღებენ შემდეგი წყვილები: საბჭოთა კავშირის სამგზის ჩემპიონი ვართანოვი — საქართველოს ჩემპიონი კანდელაკი, ცნობილი მოკრივე ნავასარდოვი— საქართველოს ჩემპიონი ლუდუშაური, მოსკოვის ჩემპიონი შჩერბაკოვი — საქართველოს ჩემპიონი მელაძე, ლვოვის ჩემპიონი რუდნიცკი—მოროზოვი, საქართველოს ჩემპიონი კალაძე—ძნელაძე.

საღამოს დასაწყისი 6 საათსა და 30 წუთზე.

პარტკალენდარი

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორჯ. სტალინის რაიკომი აცხადებს, რომ პარტბილეთი № 3722340, გაცემული საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორჯ. სტალინის რაიკომის მიერ ნინო არჩილის-ასულ ცირეკიძის სახელზე, დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

დღეს კინოებში

რუსთაველის სახ. — „ლენინგრადი ბრძოლაში", **ოქტომბერი** და **კომინტერნი**—„ხიდი", **დამკვრელი**—„საბრძოლო კინოკრებული № 4", **კომკავშირელი** — „მესაზღვრეები", **სპარტაკი** — „მე დავბრუნდები", **ლუქსემბურგის სახ.** — „მასკარადი", **26 კომ. სახ.** — „გიორგი სააკაძე", **მეცნიერება და ცოდნა** — „უკანასკნელი ღამე".

თეატრებში

4 ოქტომბერს: სახოპერა დღისით — „ალი", საღამოს — „ტრავიატა". **რუსთაველის სახელობის** — „ოტელო". **მარჯანიშვილის სახელობის** — დღისით და საღამოს — „მეფე ერეკლე". **გრიბოედოვის სახელობის** — დღისით და საღამოს — „რუსი ხალხი". **სომხური თეატრი** — დღისით და საღამოს — „რუსი ხალხი". **აბუნდოვის სახელობის** — დღისით და საღამოს — „ოქტა ელ ოგლუ". **მუსიკალური კომედიის** — დღისით და საღამოს — „არშინ-მალ-ალან". **სანკულტურის** — „სტუმარ-მასპინძლობა". **მოზარდ მაყურებელთა ქართული თეატრი** — დღისით — „ნაცარქექია", საღამოს — „წითელქუდა".

პასუხისმგებელი რედაქტორი
ვ. ხატიაშვილი

ამ დღეებში კინოთეატრებში:
რუსთაველის სახ., ოქტომბერი და სპარტაკი
ახალი ხმოვანი მხატვრული ფილმი
„ალექსანდრე პარხომენკო"
კიევისა და ტაშკენტის კინოსტუდიის ნაწარმოები 1942 წ.
სცენარის ავტორი — ორდენოსანი ვსევოლოდ ივანოვი
დამდგმელი—რეჟისორი, სტალინური პრემიის ლაურეატი ლ. ლუკოვი



როლებში:
სტალინი—ფ. გოლშტაბი, ვოროშილოვი — სტალინური პრემიის ლაურეატი ნ. ბოგოლიუბოვი, ალექსანდრე პარხომენკო—ა. ხვილია, [illegible]

[illegible]

[illegible] 1240
[illegible] 1246
[illegible] 1242
[illegible] 1244
[illegible] 1230
[illegible] 1247
[illegible] 1243
[illegible] 1245